მიუღებელია, რომ ამიერკავკასიის მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი იქნეს, თუ რომ ადრიანოპოლი და გალიპოლი დარჩება საბერძნეთს. ტყუილი საქმე იქნებოდა აგვეკრძალა ბერძნებისათვის გალიპოლში და ადრიანოპოლში სამხედრო ძალების ყოლა. ამ ადგილებში თავისი ჯარების ყოლის ცდუნება ძალიან ძლიერი იქნებოდა საბერძნეთისათვის ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა გადაწყვეტილ იქნეს საკითხი ფრაკიის დაყოფის შესახებ.

— დასკვნაში გაზეთი სწერს: „ამგვარად, საბერძნეთის ტერიტორიაში არ უნდა შევიდეს არც ადრიანოპოლი და არც გალიპოლი და არც ის სანაპიროები რომელიც აუცილებელია ბოსფორისათვის.

**რუსეთის ფლოტი.**

**მოსკოვი**, 23 აგვისტო. გელსინგფორსიდან იტყობინებიან: იმ ალომის გამო, რომელსაც ახდენს რუსეთის ფლოტი ბალტიის ზღვაში, გაზ. „ხუფვუდსტადს ბლადეტი" სწერს, რომ საბჭოთა მთავრობამ შესძლო მნიშვნელოვნად აღადგინა თავისი ფლოტი. თუ რუსეთის ფლოტის აღდგენა ამავე ტემპით გაგრძელდება მომავალში, მაშინ მომავალ გაზაფხულს, რუსეთის განაპირა ქვეყნები იძულებულნი გახდებიან ანგარიში გაუწიონ მას, როგორც რეალურ ძალას.

**რუპრეხტი პარიზში.**

**მოსკოვი**, 23 აგვისტო. გაზ. „ნასიონ ბელჟი" ათავსებს სენსაციურ ცნობას ბავარიის ტახტის ყოფ. მემკვიდრის რუპრეხტის პარიზში ჩასვლის შესახებ. გაზეთის ცნობით რუპრეხტი ჩავიდა პარიზში ინკოგნიტოდ, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოსალაპარაკებლად, რომელთაც მას სურს წარუდგინოს ცენტრალურ ევროპის პრობლემის გადაწყვეტის ახალი გეგმა. ეს გეგმა მდგომარეობს შემდეგში: ბავარიაში მონარქიის აღდგენა, ავსტრიის შეერთება ბავარიასთან გერმანიის საიმპერიო მთავრობასთან საერთო ბრძოლის წარმოების მიზნით და რეინის მხარეში დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა.

**ანარქისტების პროცესი.**

**მოსკოვი**, 23 აგვისტო. გაზ. „იუმანიტეს" ცნობით იმ ჯგუფის ანარქისტების პროცესი, რომელთაც შიმშილობა გამოაცხადეს, გადაიდო ბრალდებულთა ჯანმრთელობის სერიოზული მდგომარეობის გამო.

**ბეკლერის პროცესი.**

**მოსკოვი**, 23 აგვისტო. ბრიუსელის სამხედრო სასამართლოში (ბელგიაში) ეს მეორე კვირაა სწარმოებს პროცესი ყოფილი დეპუტატის ბეკლერისა, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა 10 დღით ადრე არჩევნების დაწყებამდე 1921 წ. ნოემბერში. ბეკლერს ბრალს სდებენ სახელმწიფოს ღალატში და სახელდობრ იმაში, რომ იგი მეთაურობდა რაიმე ერთ-ერთ საიდუმლო ფრონტის ორგანიზაციას, ეწეოდა აგიტაციას ომის შეწყვეტის სასარგებლოდ. დაკითხულმა მოწმეებმა თითქმის ყველამ ილაპარაკეს ბრალდებულის სასარგებლოდ. მოწმეთა რიცხვში არის აგრეთვე ვანდერველდე, რომელიც „ფიქრობს", რომ ბეკლერი აგიტაციას ეწეოდა ომის შეწყვეტის სასარგებლოდ. მაგრამ ვანდერველდე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ბეკლერი საერთოდ პატიოსანი „ადამიანია".

**გაზ. „როტე-ფანეს" დახურვის შესახებ**

**მოსკოვი**. 23 აგვ. ბერლინის სხვა და სხვა უბნებში გაიმართა მუშათა 8 კრება, რომელზედაც გამოტანილ იქმნა პროტესტის რეზოლიუცია გაზ. „როტე-ფანეს" დახურვის გამო. ხის გადამამუშავებელ ქარხნების მუშებმა გამართეს დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 3,000 კაცმა. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა გაზეთ „როტე-ფანეს" დახურვის შესახებ.

# რუსეთი

**ევროპის კრიზისი და საბჭოთა რუსეთი**

**მოსკოვი**. 23 აგვ. წერილში ამ სათაურით ამხ. რადეკი სხვათა შორის სწერს: „ანტანტის დაშლა აყენებს ევროპის საკითხის წინაშე: რა იქნება შემდეგ ამისა? საფრანგეთმა შეიძლება აშკარად ჩაიგდოს ხელში რურის ოლქები. გერმანია, ინგლისის დახმარებაზე იმედ გაცრუებული, შეიძლება ხელშეკრულებით შეეკრას საფრანგეთს. ორივე შემთხვევაში რურის აუზში საფრანგეთის გაბატონება მოასწავებს საფრანგეთის მილიტარიზმის ქვეშ ეკონომიური ბაზის შექმნას, რომელიც ჯერ ვერ შეუქმნია არც ერთ გამარჯვებულ სახელმწიფოს ევროპაში, საფრანგეთის პოლიტიკის გადაწყვეტას აქვს უდიდესი ინტერესი საბჭოთა რუსეთისათვის. ცენტრალურ ევროპაში ძლიერი მთავრობის გამორკვევა მოითხოვს საბჭოთა რუსეთისაგან ამ მდგომარეობის ყოველგვარი შედეგების გათვალისწინებას. იგი მოითხოვს ჩვენგან დიდ სიფხიზლეს სამხედრო საქმეში. გენუაში დადებულ ხელშეკრულების ვადა, ურთიერთ თავდასხმაზე უარის თქმის შესახებ, თავდება. არ ვიცით, როგორია ჩვენი მეზობლების მომავალი ზრახვანი. ადვილი შესაძლებელია, რომ კაპიტალისტები დაიწყებენ ოპერაციებს არა მარტო სმიტის მოძღვრების ძიებისათვის არამედ კავალერიით და არტილერიით, საჭიროა, რომ იგივე არგუმენტები იყოს ჩვენ ხელშიაც.

ეს გარემოება ნათელი გასაგები შეიქმნა არა მარტო მემარცხენეებისათვის, არამედ ცენტრისტების დიდი უმეტესობისთვისაც. რ. ჰილფერდინგმა, რომელმაც პირველმა დაასაბუთა მეცნიერულად კაპიტალიზმის ახალი ფაზა და მოგვცა დიდი ღირებულების შრომა „ფინანსიურ კაპიტალის" შესახებ, პირველმავე ჩასცა მახვილი მარქსიზმის სოციალურ კონცეპციას თვით ლიკვიდაციის შესახებ და უარყო მისი მეცნიერული ღირებულება.

„В финансовом капитализме"—ამბობს რუდოლფ ჰილფერდინგი 1915 წელში,—я пытался доказать, что так называемая „теория экономическаго саморазрушения", которая несомненно долгое время занимала господствующее место в мировоззрении некоторых теоретиков,— есть Nonsens. Экономического самоубийства, самоуничтожения капитализма, котораго должен якобы ожидать пролетариат, чтобы реализовать социализм,—не существует. Теория саморазрушения не верна в самой своей основе". (იხ. В. Камков. „Война и немецкая с.-демократия" გვ. 13).

ამ გვარად მარქსიზმის ერთი უმთავრესი საფუძვლის წინააღმდეგ უდიდესი ბრალდება იქმნა წამოყენებული და თანამედროვე კაპიტალიზმის ტენდენციების შესწავლით მეცნიერულად დამტკიცებულ იქმნა თვით მარქსიზმის საუკეთესო თეორეტიკოსების მიერ, რომ თვით ლიკვიდაციის თეორია აბსურდია და მას არავითარი რეალური საფუძვლები არ აქვს. სოციალისტური პროგრამა და სამოქმედო ტაქტიკა, რომელიც აგებული იყო კაპიტალიზმის „თვითმკვლელობის" თეორიაზე, ამ თეორიის რადიკალურად უარყოფის შემდეგ—დაგვიანებით მოითხოვდა რევიზიას, მასთან მარცხნით, ან მარჯვნით გადახრას. ძველი გზით სიარული და ძველის საფუძვლებზედ სამოქმედო გზის გამომუშავება შეუძლებელი და მიუღებელი შეიქნა. მარჯვნით გადახრა თავის თავად უდრიდა ოპორტუნიზმის შეთვისებასა და რეფორმისტული თეორიის გაზიარებას. მარცხნით—კი აქტიური სოციალიზმის ნიადაგზედ დადგომასა და ფართო რევოლიუციონური ტაქტიკის მიღებას.

რაკი კაპიტალიზმი თავისი ტენდენციებითა და განვითარებით თავისი ფესვებით არ მიემგზავრებოდა სასაფლაოსაკენ, ლოღიკურად აუცილებელი საჭირო იყო მისი წინააღმდეგ გარეშე ძალის დაპირისპირება და მისი საშუალებით კაპიტალიზმის მეურნეობის აღმოფხვრა. ასეთ ძალად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სოციალისტური პროლეტარიატი, რომლის რევოლიუციონური აქტივიზმი, შეგნება და მიზნები უდიდესი ფაქტორები არის კაპიტალიზმის დასამარხებლად.

არ არის მარტო საკმარისი, რომ შეიქმნეს ხელსაყრელი პირობები სოციალიზმის განსახორციელებლად, თუ არ არის ამ იდეის მატარებელი სუბიექტი. ობიექტიური პირობები და ისტორიული გარემოება მხოლოდ მასალა არის, რომლის გამოყენება და შესაფერისად მოხმარება დამოკიდებულია შეგნებისა და მიზნების მატარებელ სუბიექტზედ. ეს კარგად შეიგნო ცნობილმა კაუცკიმ და 1915 წ. შემდეგი საგულისხმიერო დებულება წამოაყენა, რომლის ქვეშაც სიამოვნებით შეუძლია ხელი მოაწეროს ყოველ სუბიექტივისტს.

„ყველაზე უფრო ხელსაყრელი ეკონომიური წინასწარი პირობები სოციალისტური წყობილების განსახორციელებლად არ არის საკმარისი, თუ არ არის ხალხი, მსურველი და შემძლები მათი დაპყრობისა და გამოყენების. პროლეტარიატი მაქსიმალურად დაინტერესებულია ჩაიგდოს ის, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, თუ მან არ შეიგნო (осознал) ასეთი აუცილებლობა".

როგორც ვხედავთ ეს თეორია რადიკალურად განსხვავდება ძველის თეორიისაგან, რომელიც ურჩევდა პროლეტარიატს ხელდაკრეფილი ეცადა, სანამ ბურჟუაზიას გავარდებოდა ძალა-უფლება ხელიდან და თავისით შევიდოდა სოციალიზმში. კაუცკის განმარტება ძირშივე უარყოფს იმ დებულებას, თითქოს სოციალიზმი სტიქიურ ძალთა შრომის შედეგი იყოს და ამ პროცესში საჭირო არ იყოს შეგნების ელემენტის აუცილებლობა. ამ დებულებით კაუცკიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სოციალიზმის განხორციელების პროცესში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პროლეტარიატის კლასიური ინტერესებისა და კლასიური იდეალიზმის პირველ რიგში წამოყენება როგორც წარმატების უდიდესი ფაქტორებისა. მაგრამ ჩავყვეთ ქვევით კაუცკის მსჯელობას: „ძლიერ ფართო და გაზვიადებულია, ამბობს კაუცკი თავის წერილში,—ის გაგება რასაც ჩვენ ვგულისხმობთ კაპიტალიზმთან განვითარების ისტორიულად აუცილებელ ხარისხის ქვეშ, როგორც სოციალიზმის პირობას მე ვფიქრობ, რომ ობიექტიური პირობები, წინასწარი საფუძვლები სოციალიზმისათვის უკვე მოცემულია კაპიტალისტურ ქვეყნებში; სხვა საქმეა სუბიექტიური. ისინი უფრო რთულია, შეუძლებელია სტატისტიკით ისინი გამოვარკვიოთ, მათ შეაქვთ დიდი გაურკვევლობა ისტორიულად სოციალიზმის მომწიფების საკითხში".

(იხ. კამკოვის წიგნი გვ. 34).

**სიმონ ხუნდაძე.**

(შემდეგი იქნება).



**ზაქ. კონსტანტინეს ძე დიდიმამიშვილი**

ამხ. ზაქარია იყო მესხი, ქალ. ახალციხიდან. ის დაიბადა 1885 წელს.

დაასრულა თუ არა სასწავლებელი, ცოტა ხნის შემდეგ შევიდა ადგილობრივ ყოფილ იმ დროის რუსეთის სატრანსპორტო და დაზღვევ საზოგადოებაში, სადაც იმსახურა თვრამეტ წელზე მეტი.

იყო აგენტად ამ საზოგადოებისა ქალ. ახალციხეში, რუსეთში, ახალ ბუხარაში, კოკანდში და სხვ. დიდიმამიშვილი მსახურობდა აგრეთვე ტფილისში, იყო აღნიშნული საზოგადოების აგენტის თანაშემწე, ქუთაისში, პეტროვსკში და სხვ.

რუსეთის რევოლიუციამ დიდიმამიშვილს რუსეთში მოუსწრო.

ზ. დიდიმამიშვილმა, როგორც იყო დააღწია თავი რუსეთს და მოაშურა სამშობლო საქართველოს, მის კერას ძველ მესხეთს, ქალ. ახალციხეს, რათა გაასკეცებული ენერგიით ემუშავნა საქართველოს საკეთილდღეოდ.

ზ. დიდიმამიშვილი მუშაობდა პარტიაში 1904 წ.

ეს პარტია იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტია, წარმოშობილი ქართველი ერის წიაღიდან.

ეს ის პარტიაა, რომელმაც მიზნად დაისახა მშრომელი ხალხი, სამშობლო და სოციალიზმი. ამ პარტიას სწამს, რომ ეროვნულ-სოციალისტური გზით შეიძლება სოციალიზმის განხორციელება, სოციალიზმის სამეფოში შესვლა.

სამწუხაროდ პარტიის ხელმძღვანელმა მემარჯვენე ფრთამ უღალატა ამ დიად მიზნებს, გადაუხვია რევოლიუციონურ გზას და მენშევიკებს ანაცვალა ერიცა და სოციალიზმიც. ამხ. ზაქრო რასაკვირველია ვერ გაჰყვებოდა მემარჯვენეებს,—ის შერჩა მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიას და ცდილობდა კიდეც მის გაძლიერებას, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ამის საშუალებას არ აძლევდა. ერთხელ კიდეც დაიჭირეს და ტფილისში გადაგზავნეს, მაგრამ მთავარმა კომიტეტმა მაშინვე გაანთავისუფლებინა.

ზ. დიდიმამიშვილის ინიციატივით ქ. ახალციხეში დაარსდა სოც.-ფედ. პარტიის ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო ამხ. ზ. დიდიმამიშვილი.

ზ. დიდიმამიშვილმა ამ პარტიას ანაცვალა თითქმის თავისი ახალგაზრდობა და ამ პარტიისათვის მან ციხეებიც კი იგემა.

ვის არ ახსოვს ამხ. ზ. დიდიმამიშვილი ახალციხის ქალაქის საბჭოში ხმოსნად რომ იყო არჩეული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყოველივე მოქმედებას, იმ დროის გაბატონებულ ქალაქის საბჭოში დაშნაკელების პარტიას და ასე მხურვალედ იცავდა მშრომელი ხალხის კანონიერ უფლებებს აღნიშნულ საბჭოში.

ზაქრო დიდიმამიშვილს საერთოდ უყვარდა კრიტიკის გაწევა, მხოლოდ მისი კრიტიკა იყო საფუძვლიანი და ობიექტიური.

ზ. დიდიმამიშვილი იყო საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი.

ქალ. ახალციხეში არ დარჩენილა არც ერთი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი, სადაც მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და საქმე წესიერად არ გაეკეთებინოს.

ზ. დიდიმამიშვილი თავისუფალ დროს წერასა და კითხვას ანდომებდა და მას მხოლოდ ერთად-ერთი სიმდიდრე დარჩა, ეს არის მისი მდიდარი სამკითხველო. არ დარჩებოდა წიგნი, რომელიც ახლად დაბეჭდილიყო და მას არ შეეძინა.

იგი თანამშრომელი იყო გაზეთ „სახალხო ფურცლისა", „სახალხო საქმისა" და სხ.

მას მრავალი ნაწერები აქვს და სხვათა შორის მის კალამს ეკუთვნის დღიური „ახალციხის ამბები", როცა 1918 წ. ოსმალეთმა ბათუმის ხელშეკრულებით ჩაიგდო ხელში მესხეთ-ჯავახეთი და ამ მხარეში დაამყარა თავისი სასტიკი რეჟიმი. ზაქრო დიდიმამიშვილმა ჩუმად თავისი დღიურები „ახალციხის ამბები" დიდის ვაი-ვაგლახით და შიშით ჩამოიტანა ახალციხიდან, რომელიც უკვე ოსმალეთის ხელში იყო, ტფილისში და გაზეთ „სახალხო საქმეში" დასტამბა რომელიც ერთი თვე იბეჭდებოდა, ამ წერილებით (დღიურებით) ამცნო მან მთელ ქვეყანას, თუ რა რიგად იტანჯებოდა მესხეთ-ჯავახეთის ქართველობა ოსმალეთის იმპერიალისტურ უღლის ქვეშ.

ზ. დიდიმამიშვილი იყო ხელმძღვანელი და თავმჯდომარე კოოპერატივ „მესხეთისა". აქ მას ბევრი უსიამოვნება შეახვედრეს წვრილმა პოლიტიკანებმა, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა მათზედ, თუმცა დიდხანს აღარ დასცალდა. გაცივებით გაუჩნდა ფილტვების ანთება და ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ სამუდამოდ გამოგვეთხოვა ამა წლის ივლისის 29.

არ დაივიწყებს მას არც ამხანაგები და არც მესხეთის ქართველობა.

ბ. გ.

# ახალი ამბავი

— **ექსკურსია**. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები აგრონომ ს. ჩოლოყაშვილისა და გ. რცხილაძის ხელმძღვანელობით მიემგზავრებიან დღეს ექსკურსიაზე, რომ დაათვალიერონ: საქარის სანერგე, ვარციხის სახალხო მამული, აჯამეთის საცდელი მინდორი, ჩაქვის და სალიბაურის (პაპოვებისეული) სახალხო მამულები და ბათომის ბოტანიკური ბაღი. ტფილისში დაბრუნდება ექსკურსია [illegible] 3.

— **კოოპერატივები** [illegible] ეკონ. საბჭოსთან არსებული კოოპერატიული გამგეობა ჩქარა დაიწყებს კოოპერატივების პერერეგისტრაციას, რომ ხელი შეუშალოს კერძო ვაჭრობას კოოპერატივის სახელით.

— **ცოფიანი ძაღლები**. უკანასკნელ დროს ქალაქში გახშირდა გახელებული ძაღლები. ასე მაგ. მეჯურმღლეთის (გონჩაროვის) ქუჩაზედ მცხოვრებმა დარია კოხტიევისამ მიიყვანა ქალაქის ვეტერინარულ საავადმყოფოში ავადმყოფი ძაღლი, რომელიც ცოფიანი აღმოჩნდა. იმავე სახლიდან, სადაც კოხტიევისა ცხოვრობს IV რაიონის მილიციელმა ხუციშვილმა გამოგზავნა საავადმყოფოში ორი ძაღლი შესამოწმებლად. ამავე დღეებში ელენე კოხმა მოიყვანა საავადმყოფოში პლეხანოვის პროსპექტიდან № 126 ძაღლი, რომელიც ცოფიანი აღმოჩნდა. ძაღლების მიერ დაკბენილი პირები გაიგზავნა პასტერის სადგურზედ ასაცრელად.

— **შევარდენთა ცხოვრება**. შევარდენთა მესამე საწვრთნელი სამზადისი, რომელიც წელს მოაწყო საქართველოს შევარდენთა კავშირმა სამხედრო უწყების დახმარებით, დაასრულა 61 შევარდენ-წვრთნელმა, მათ შორის ცხრამ პირობით, რომ პირველ ოქტომბრისთვის ჩააბარებენ დარჩენილ სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩაუბარებელ გამოცდებს. სულ საწვრთნელ სამზადისზე საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული იყვნენ 176 შევარდენი წვრთნილი, მათ შორის გამოცდებზე დაშვებულნი იყვნენ 103 და დაასრულა 61, რომელთაც მიეცათ ტანვარჯიშობის წვრთნელის ხარისხი. ტფილისის პირველ შევარდენიდან: პელიძე ალექსანდრე—წარჩინებულად, დაიკავა პირველი ადგილი, პანჩულიძე მიხეილ, სინჯიკაშვილი ნიკოლოზ, ზაგიძის ასული გალინა, ნასარიძის ასული მარიამ, ჯავახიშვილის ასული ელენე, ბოკერიას ასული ქეთევან, გელაშვილის ასული თამარ—წარჩინებულად, მაღალაშვილის ასული ნინო, გურამიშვილი ალექსანდრე, კახაბერი გიორგი—პირობით; ტფილისის მეორე შევარდენიდან: დოთაძის ასული ია, მიქელაძის ასული ბარბალე, მიქელაძის ასული რუსუდან, ტყავაძის ასული მარიამ, ზედგინიშვილის ასული ვერა, ივანიცკის ასული თამარ, სულხანიშვილის ასული მარიამ, კლიმიაშვილის ასული სალომე, ალიხანოვი გიორგი, ივანიცკი გიორგი, ნიკოლაიშვილის ასული ასმათი, ჯაიძის ასული ალექსანდრა—წარჩინებულად, სესიაშვილის ასული მარიამ—პირობით; ტფილისის მესამე შევარდენიდან: ზერიძე გიორგი—წარჩინებულად; ტფილისის მეხუთე შევარდენიდან: ხიაბკი მიხეილ—წარჩინებულად, იშხანოვი ლეონ, ალიბეგოვი ევგენი, სემიონოვი თედორე, ჯიოევი ნიკოლოზ—პირობით. ტფილისის მეექვსე შევარდენიდან: ცხვედაძე მიხეილ, პაპავაძე მიხეილ, ახალშენიშვილი შოთა, კეზელი ნიკოლოზ, ქადუა ლეონ, ჩიჯავაძის ასული ვერა, არჩვაძის ასული თამარ, საყვარელიძე—წარჩინებულად, ტფილისის ისნის შევარდენიდან: პატარიძე მიქელ—წარჩინებულად დაიკავა მეორე ადგილი, კეთილაძე ვალერიან, პირკულაშვილი გრიგოლ, ანდრიაშვილის ასული თამარ; სამხედრო სასპორტო სკოლიდან: კვანჭახიძე სოლომონ, შალამბერიძე გრიგოლ, კეჟერაძე დავით, აბულაძე მიხეილ—პირობით, ქუთაისის პირველ შევარდენიდან: ქებულაძე მიხეილ—წარჩინებულად დაიკავა მესამე ადგილი, ყიფიანის ასული ქეთევან, კაკაბაძის ასული თინათინ, წულუკიძე პეტრე—პირობით; დიდი ჯიხაიშის შევარდენიდან: კაპანაძე ვასილ, კაპანაძე ევგენი, დიდიძე ევგენი, ჩხეიძე ალექსანდრე, ქუთათელაძის ასული ელენე, ქუთათელაძე ალექსანდრე; ზესტაფონის შევარდენიდან: ბარდაველიძე ალექსანდრე; გორის შევარდენიდან: ტაბიაშვილი შალვა; სენაკის შევარდენიდან: ბაბუნაშვილი სიმონ—როგორც მძ. ესანი, ხოფერია ნიკოლოზ; სიღნაღის შევარდენიდან: ტყავაძის ასული ნინო.

— **შევარდენთა გაფრენა მანგლისში**. 19 აგვისტოს, ტფილისის მეექვსე შევარდენის ვარჯიშთავის ლევან პოოკოფაშვილის მეთაურობით 15 შევარდენი ორი კვირით გაემგზავრნენ ფეხით მანგლისში.

— **ფეხბურთელთა შეჯიბრება ბორჯომ-წაღვერში**. 18 აგვისტოს, ფეხბურთელთა გუნდების უფროსის გიგო გიორგაძის მეთაურობით ტფილისის პირვ.

შევარდენის პირველი გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თამაშში ანდრო ...ძე, გაიმარჯვა ორი ... თით მორიგე წლებში და მოაწყო შეჯიბრება ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდებთან. მორიგე თამაშში ტფილისის შევარდენების სანაკრებოდ 3:1 ზე, მხოლოდ წლევანდელ ისევ ტფილისის შევარდენების სანაკრებოდ 9:2 ზე. აღსანიშნავია, რომ შევარდენები მორიგე წლევანდელ ... ... ამავე დღეს მოაწყვეს შეჯიბრება.

— **შევარდნული საზოგადოება ხონში ზუგდიდში.** გაიხსნა ახალი შევარდნული საზოგადოებები ქალ. ხონში აკაკის შევარდნულ ოლქის ვარჯიშთავის ლევით ჯავრიშვილის თაოსნობით, მხოლოდ ქალ. ზუგდიდში და ახალსენაკის შევარდნის ვარჯიშთავის ... თაოსნობით.

— **ახალი წიგნი „ჯოხ თ ვარჯიში".** დაიბეჭდა და გამოვიდა საქართველოს შევარდენთა კავშირის გამოცემით დიდი ჯოხით შევარდენის ვარჯიშთავის ... ... სახელმძღვანელო „ჯოხით ვარჯიში". წიგნი ღირს 50 თეთრი მან.

# ქართული მწიგნობრების ისტორიიდან

**ილია ჭყონია და მისი სამწერლო მოღვაწეობა.**

ილია ჭყონია მწერალი, ბელეტრისტი, მელექსე, პუბლიცისტი, რეცენზენტი, ლექსიკოგრაფი, ხალხური სიტყვიერების შემკრეფი და უცხო ენებიდამ მთარგმნელი დაიბადა 1860 წ. ივნისის 20.

მწერლობს და სწერს 1877 წ. მაშასადამე 44 წელიწადია. ამ ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა იგი ყველა ქართულს ჟურნალ-გაზეთებში.

1881 წელს, როგორც „დროების" ქუთაისურ კორესპონდენტი, როგორც ერთი მოხელის მამხილებელ წერილისათვის მიცემულ იქმნა ტფილისის სამოსამართლო პალატის სამართალში, მაგრამ დაამტკიცა თავისი მხილების სიმართლე და გამართლებულ იქმნა მაშინდელ დროებაში.

1882 წ. გამოსცა სალიტერატურო კრებული, სახელდობრ: „**სამწერლო თაიგული**" რომელშიაც დაბეჭდილია აკაკისა და რაფ. ერისთავის ლექსები, ნიკო დადიანის პოლემიკური წერილი ილია ჭავჭავაძის მხრის დასაჭერად.

1883 წ. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა გიორგი ავალიშვილის, მეფის გიორგი მე-13-ს ელჩის რუსეთში, „სასულიერო ფსალმუნი: „ხმა ცოდვილისა დრმთისადმი".

1884 წ. მისი რედაქტორობით და გრიგოლ გურიელის საფასით გამოიცა მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი ინდო-სპარსულ იგავთა კრებული: — „ქილილა და დამანა", ეს შრომა ქებით და ქებით მოიხსენიეს ისტორიკოსებმა დიმიტრი ბაქრაძემ, ილია ოქრომჭედლიშვილმა გაზეთებს „დროება" და „ივერია"-ში 1882—1884 წლებში შრომობდა გაზ. „დროების" რედაქციაში და ეჭირა გაზეთის კორექტორა.

1883 წ. მცირე გახამრჯელოს გამო რედაქციიდამ გადავიდა ოზურგეთში, იქაურ მომრიგებელ სასამართლოს მდივნათ, სადაც დაჰყო 1889 წლამდე. იქიდამ ეს თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში", რომელიც, სხვათა შორის მისი ალეგორიული ფელეტონის გამო, რომელშიაც შოლტავდა ოზურგეთის პოლიციას, დახურულ იქმნა გაზეთის გამოცემა.

1891 წ. არჩეულ იქმნა გურიის თავად-აზნაურობისაგან დეპუტატათ საკრებულოში 1894 წლის (მეორე ნახევარს) ასრულებდა გურიის თავად-აზნაურთა წინამძღვრის თანამდებობას.

1895—1897 წ. იყო რედაქტორ-გამომცემელი სამეურნეო გაზეთის „მეურნის" ამ გაზეთისათვის ითხოვა საპოლიტიკო და სალიტერატურო განყოფილებათა ნებართვის მიხიჭება, მაგრამ უარი უთხრეს, როგორც პოლიტიკურად არა საიმედო პირს. ამავე დროს მან გამოსცა ათიოდე ნაირი ქართული სამეურნეო წიგნები.

1900 წ. გამოსცა თავის სატირული ლექსების კრებული „ჭოლოკი".

1898—1902 წლებში მსახურებდა ბაქოს და მის მიდამოებში ინგლისელების ნავთის მადნებში, ნავთის ამომღებთა თავმდებათ, იქ მსახურების დროს დასწერა უმეტესობა თავის გიმოცემების, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც დაუბეჭდავი აქვს.

1903 წ. გამოსცა ნაწილი თავის მოთხრობების. 1804—1917 წ. მსახურებდა სომხეთში და მომრიგებელ შუამავლათ, სომხეთში მას მოუხდა ხალხის აღწერა და საგლეხო რეფორმის გატარება თავის უბანში, ხოლო ზაქათალის ოლქში, ქეშქელის მიდამოებში ლეკთა მიერ გლეხთან მიწის მოსავლის წილის აღების მოსპობა.

1910 წელს, სამეცნიერო აკადემიამ, პეტერბურგში აკადემიკოსის ნ. მარის რედაქციით და წინასიტყვაობით გამოსცეს მისი შედგენილი დამატება ქართულის ლექსიკონის დამატება, სახელდობრ: — „სიტყვის კონა".

1913 წ. გამოსცა თავის ნაწერების უმეტესობა. ეს მისი ნაწერები გაზ. „თემში" 1913 წ. № 138 გაარჩია აკაკიმ, რომელმაც მოეწონა ლექსები ხოლო პროზა მისი შეადარა პოეტურათ ჩამოსხმულ მარგალიტებს, რომლებიც „როგორც გრილი სიო ზაფხულის მხურვალე დღეს, ისე ხვდებიან ქართველის გრძნობა-გონების.

ამ ნაწერებში მოთავსებულია თარგმნები პუშკინის განთქმულის პოეტის „პოლტავის" რევოლიუციონურის პოეტის კ. სილევის „ვოინაროვის, და გენრიხ სენკევიჩის ორი საუკეთესო ესკიზი.

1919-1921 წ. მსახურობდა ფოთსა და ქუთაისს, მომრიგებელ მოსამართლედ. განთავისუფლებულ საქართველოს თავისუფლათ არჩეულ მოსამართლეთაგან მან პირველმა შეუდგა თანამდეობასა და პირველათ მისგან დაიწყო განაჩენი ქართულ ენაზედ. მასვე აქვს დამზადებული 1, სუჟეტები, კონსპექტები 30 ესკიზისა და 5 მოთხრობისათვის 2, დაუბეჭდელი აქვს ქართული ანდაზები 3. რჩეული რუსულ ანდაზების თარგმანი. 4, ძველი ქართული შაირები და სხვანიც ასეთნი.

იქვს აგრეთვე საერთო პოეტების ათი რჩეული ლექსების თარგმნება. ბიოგრაფიული ცნობები გამოჩენილის ქართველების, საქართველოს მონობის დროს უცხოეთში მოხიზნული ერისა: პეტრე იაგრატიონი, — მისლონი — გედევანიშვილი, რომის საუკეთესო კომპოზიტორი და განთქმული ქიმიკოსი და სხვ. განზრახული აქვს დასწეროს თუ ცხოვრების სახსარი ექმნა მემუარები, მოქმედ პირთა ბიოგრაფიული ცნობები 1869-1921 წლამდის და სხვაც ასეთნი.

ყველა ამ ცნობებით მკითხველი ამგვარათ დაინახავს იმ უტყუარს ჭეშმარიტებას, რომ ილია ჭყონიას ქართული მწერლების ასპარეზზე აქვს დახარჯული დიდი შრომა და აბა რაც ცხადია თავის თავი, რომ იგი ღირსია პატივის ცემის და სათნოს თაყვანის.

ზ. ქ. ქ-შინაძე

# შევარდენის დაარსება ქალ ზუგდიდში

ივლისის 31 სახალხო კლუბში შესდგა ტანვარჯიშობით დაინტერესებულ საზოგადოების არა ჩვეულებრივი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ლომაია, მდივნობდა ამხ. ბარამია.

დღიურ წესრიგში: 1. სურვილი ზუგდიდში „შევარდენის" დაარსებისა, 2. მოხსენება შევარდენზე და 3. საბჭოს არჩევნები.

კრება გაიხსნა ი. ბუკიას აღფრთოვანებულ სიტყვით. ის ამბობს: დიდი ხანია, რაც ზუგდიდის მოსახლეობაში არის სურვილი „შევარდენის" დაარსების, მაგრამ სხვა და სხვა დაბრკოლებები ეღობებოდენ წინ ჩვენს წმინდა განზრახვებს, რომლებმაც გვაიძულეს ეს დიადი სურვილი გულში ჩაგვეკრა, დაგვესამარა. დღეს კი ზუგდიდის ცაზე ოქროს ნავით ამობრწყინდა ცხოველმყოფელი-მოქმედი მზე, რომლიც შორეულ ფენომენებისაგან უცხო წყალობით დააჯილდოვებს ღუმარე ახალგაზრდობას, რომელთა „ჯანსაღ სულის" გენიალობით ნაყოფ უკვდავებას ერის სამეგრელოს ბუნება. საღამი თქვენ პატივცემულნო, რომლებმაც ასე მხურვალე თანაგრძნობით შეხვდით ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს. გამარჯვება „შევარდენს" და მათ გაწვრთნილ ახალთაობას. (დაუსრულებელი ტაში).

შემდეგი სიტყვა მიეცა ახალ-სენაკის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენის" ვარჯიშთავს ამხ. კიზირიას, რომელმაც გააცნო კრებას: „შევარდენის" წარმოშობის, მიზნის და მნიშვნელობის მოკლე ისტორია" მომხსენებელი გაკვრით შეეხო „შევარდენის" წარმოშობის უძველეს პერიოდს. ის იწყებს პირველყოფილ ადამიანიდან და ამბობს: შევარდენის წარმოშობა მტკიცედ დაკავშირებულია პირველ-ყოფილ ადამიანთა ცხოვრებასთან, მაგრამ მას არ ჰქონდა გარკვეული სახე და მიზანი, რისთვისაც პირველ-ყოფილი ტან სავარჯიშო საზოგადოება დამარცხდა მსოფლიო „შევარდენის" ეკრანზე.

მაგრამ თუ ჩავიხედავთ საბერძნეთის უძველს ისტორიის სარკეში, უხვევ მონუმენტებით აჩუქურთმებული წარმოგვიდგება ათინა და სპარტა, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის „შევარდენის" წარმოშობის, სახეობის, განვითარების და მიზნის რაობის გათვითცნობიერებისათვის მსოფლიო „შევარდენის ისტორიაში. ვის არ ახსოვს ისტორიიდან ის უმაღლესი ენტუზიაზმი, რომელსაც განიცდიდა „დაფნის გვირგვინით" დაჯილდოვებული „ოლიმპიის დღესასწაულში" ვის არ ახსოვს ის საერთო სიამაყე ერის და შემთხვევა მშობელთა უადრესი უეცარი სიკვდილის ამ დიად სიურპრიზით შვილის დაჯილდოების გამო. საჩუქარი უბრალო, მაგრამ უშესანიშნავესი. აი რის მოპოებისათვის იღწოდენ გიმნაზიებში ტან-ვარჯიშობით ბერძენთა ახალ-გაზრდობა. გამბედაობა, გაჯანსაღება, სიმამაცე და მტკიცე ხების ყოფის ახალ-გაზდათა გამოზრდა — აი რაც ახასიათებდა საბერძნეთის გიმნაზიებს. მაგრამ გავიდა ხანა და „ოლიმპიადაზე" „დაფნის გვირგვინით" დაჯილდოების ნაცვლად ფულით ასაჩუქრებდენ წარჩინებულებს, რისთვისაც ტანვარჯიშობამ მიიღო ვაჭრული ხასიათი და გარყვნილი სახე. ამავე დროს იწყება ქრისტიანობის გავრცელება, რომელმაც საუკუნოდ დასცა ტან-სავარჯიშო იდეა. „აწამე სხეული, ნუ უვლი სხეულს, თუ გსურს სული ინეტარო საიქიოში" აი დევიზი ქრისტიანობის მქადაგებელთა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია საბერძნეთში. და ის წინანდელი ენტუზიაზმი და ლტოლვილება სახელის დამსახურებისათვის ახლა სულის უკვდავებაზე ზრუნვით შეიცვალა. აი რენესანსი პიროვნებაში და ტრაგიზმი ტანსავარჯიშო საზოგადოების.

ამის შემდეგ თითქმის მე4 საუკუნიდან მე 12 საუკუნემდე გარკვეული სამოქმედო გზა ტან-სავარჯიშო ასპარეზზე დაიფერფლა და მხოლოდ ზოგიერთ ქალაქებში არსებობდა უმნიშვნელო ჩანასახი ამ დიად საყურადღებო ტან სავარჯიშო საზოგადოების, რომელსაც ასე მხურვალედ ეტანებოდენ საბერძნეთში.

მე-12 საუკუნიდან კი ევროპის ზოგიერთ ქალაქებში იწყება რაინდების და ტურნფერაინების სახით ტან-ვარჯიშობის ხანა. ძველი ტენდენციის ზოგიერთი მუხლი დაედო სარჩულად ახალ საზოგადოებას, მაგრამ რაინდები სამხედრო ხასიათით და გულუბრყვილო ცერემონიებით დიდათ განირჩეოდენ ბერძენთა გიმნაზიელისაგან, რისთვისაც საუკუნოებით შექმნილი მოვარჯიშეთა ორიგინალური პოზა სამუდამოდ დაიმსხვრა ხალხის თვალში. აი მეორე პერიოდი ტან მოვარჯიშეთა იდეა რეგრესიულ პრინციპზე აღორძინებული.

სამოცი წლის წინად (1862 წ.) ჩეხეთის მეცნიერმა პროფესორ მიროსლავ ტირშიმ ახალგაზრდობის გაჯანსაღების, სულის სიმტკიცის და გამბედავ ვაჟკაცთა აღზრდით, სამშობლოს უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის, პირველად მსოფლიოზე დააარსა ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი" იდეიური პრინციპით: რაობის გათვითცნობიერება, სხეულის გაჯანსაღება და სულიერი გარდაქმნა, აი მიზანი მიროსლავ ტირშის და დევიზი: არც ერთი ჩეხელი „შევარდენის" გარეშე. აღსრულდა მიროსლავ ტირშის მიზანი არა მარტო ჩეხეთში, არამედ დღეს მთელი მსოფლიო იმედის თვალით შეჰყურებს „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღ სულის" მქონე ახალგაზრდობას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში პატარა საქართველოს, რომელმაც მსოფლიო ტან-მოვარჯიშეთა შეჯიბრების დროს 1909 წ. ჩეხიაში მიიღო ცხრა ჯილდო მაშინ, როდესაც რუსეთმა მხოლოდ ორი: ეს იმით აიხსნება, რომ მას რუსეთში უყურებდენ, როგორც „დროს გასატარებელს". დღეს რუსეთშიც დარწმუნდენ, რომ მხოლოდ ტირშის „შევარდნული" თანწყობით შეიძლება ახალ-გაზრდობის გაჯანსაღება და უკვდავ სულის მოპოება.

„ყურადღებას", „თანაგრძნობას", „სიყვარულს" და „პატივისცემას" აი რას მოითხოვს „შევარდენი", რომელშიც არის ჯანმთელობის ხსნა და სულის სიმტკიცით დაჯილდოება ახალ-თაობის.

მაშ გაუმარჯოს დიდ მნიშვნელოვან „შევარდენს". (დაუსრულებელი ტაში).

ამის შემდეგ თავმჯდომარემ გადადის მესამე საკითხზე: „შევარდენის" საბჭოს არჩევნებზე, რომელიც შესდგება შვიდი კაცისაგან. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალმასკომის თავმჯდომარის ამხანაგი მ. მიმინოშვილი, ამხანაგებად: კ. ანჯაფარიძე და ექიმი ნ. ანთელავა. წევრებად კი: ქ-ნ. კეშელავა, აპოლ. ჯიქია, ნ. ბუკია და ჭ. რაფავა. საპატიო წევრებად არჩეულ იქნა: სამხ. საზღ. სახალ. კომის. ვალ. ჯიქია. შევარდ. კავშ. ვარჯიშთავი გ. ეგნატაშვილი, მისი შემწე თამრო ნიკოლაძე და „შევარდენთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ნიკოლაძე. კომისიაში არჩეულ იქნა: ალმასკომის თავმჯდომარე გ. როგავა, კ. კობახიძე და ბ. ბერია. ტეხნიკური საბჭოს წევრები არჩეულ იქნებიან ვარჯიშობის დაწყებიდან წვრთნილთა კრებულიდან.

ბოლო სიტყვას ღებულობს მოვარჯიშე ჩხეიძე, რომელიც უღრმეს მადლობას უძღვნის კრებას თანაგრძნობისათვის და მოუწოდებს ხალხს ამ დიდმნიშვნელოვან „შევარდენის" განმტკიცებისათვის ენერგიულ მუშაობისკენ.

საერთო სიხარულით და იმედებით, რომ ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას ტანსავარჯიშო საზოგადოება, კრება დაუსრულებელი ტაშით იხურება ღამის აა საათზე.

ვალ. გერსამია.

# კიდევ ერთი ხიმუძი ბოროტ-მოქმედებისა

14 აგვისტ. ქ. ტფილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატში დაბეჭდილ სალაროდან გაიტაცეს 50,000,000 მან. საყოველთაო სამხედრო სწავლების მოსამსახურეთა ჯამაგირები, ეს კიდევ ერთი ახალი ხიმუში ახალი ბოროტ-მოქმედებისა. ისედაც გამვალტყავებულ — მშიერ-მწყურვალე მოსამსახურეებს, რომელთაც სამი ოთხი თვეა არ მიუღიათ ჯამაგირები, უკანასკნელი ლუკმაც გამოსტაცეს პირიდან. ეელოდიც თუ სამართლიანი გამოძიება არ მოხდა და არ აღმოაჩინეს ხამდვილი ბოროტ-მოქმედი და როგორც ჩვეულია დასახელებულ დაწესებულებაში ესეც მიმალეს. ერთხელ კიდევ უღალავალო პირს მიაბამენ მეტეხში და თავისუფალი ბოროტ-მოქმედი კვალ განაგრძობს თავის საგმირო საქმეს.

მაქს—იმე.

ბოლშევიკური — საზოგადოებრივი კოლეგია
გამომცემელი — ... ... ...

# ჟურნალისტთა ცეხი

ორშაბათს, აგვისტოს 28, მუშათა სასახლის ზემო დარბაზში (5 სართული) შესდგება ჟურნალისტთა ცეხის წევრების საერთო კრება.

დღის წესრიგია: 1) მოხსენება დროებითი ბიუროს მოქმედების შესახებ; 2) ახალი ტარიფი; 3) მომავალი მოქმედების გეგმა; 4) მუდმივი ბიუროს არჩევა და სხვა საქმეები.

საერთო კრება გაიხსნება დილის 11 საათზე. მაგრამ, თუ იმ დროისათვის ქვორუმი არ შესდგა, მეორე კრება გაიხსნება 12 საათზე და ჩითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 3—1